United Airports of Georgia LLC

Digitally signed by United Airports of Georgia LLC
DN: cn=United Airports of Georgia LLC, 2.5.4.97=NTRGE-404389693, o=..... ....., c=GE
Date: 2020.07.15 11:04:14 +04'00'

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი

2020 წ.

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" სატენდერო კომისიამ ჩაატარა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:
კონსტანტინე ქათამაძე - დირექტორის პირველი მოადგილე;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ემელიანა უზნაძე - შესყიდვების მენეჯერი;

კომისიის წევრი:
ბექა ხიტირი - მთავარი იურისტი;

მოწვეული წევრები:
გიორგი მიხანაშვილი - ინფრასტრუქტურის განვითარების მენეჯერი;
ვასილ კუნჭულია - ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური მენეჯერი.

აპარატის წევრი:
ანა ხაჩიაშვილი - შესყიდვების კოორდინატორი.

დღის წესრიგი:

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების თანმდევი პროექტირებით ელექტრონული ტენდერით შესყიდვის შესახებ სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ემელიანა უზნაძის ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების დროულად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დავალება, რომელიც გულისხმობს ერთი შესყიდვის ფარგლებში ე.წ. Design-Build მეთოდით (DB) ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების და კონცეპტუალური პროექტის საფუძველზე დეტალური (მუშა) პროექტის შემუშავების მომსახურების შესყიდვას.

დაადგინეს:

1. ბაზრის კვლევის შედეგად, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 2,455,699.00 ლარი, დღგ-ს გარეშე.

2. შესყიდვის ობიექტს მიენიჭოს CPV კოდი: 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები.

3. კომისიამ განიხილა ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციის შინაარსი და ძირითადი მახასიათებლები, თანმდევი საორგანიზაციო საკითხები და დაადგინა, რომ გამოცხადებულ იქნას ელექტრონული ტენდერი დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების თანმდევი პროექტირებით შესყიდვის თაობაზე.

4. ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსდეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია. აგრეთვე, აიტვირთოს სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი.

კომისიის ოქმი დამტკიცებულ იქნა სატენდერო კომისიის წევრების მიერ.

კომისიის თავმჯდომარე

კონსტანტინე ქათამაძე ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ემელიანა უზნაძე ----------

კომისიის წევრები

ბექა ხიტირი ----------

მოწვეული წევრები:

გიორგი მიხანაშვილი ----------

ვასილ კუნჭულია ----------

ოქმი გააფორმა:

ანა ხაჩიაშვილი ----------